

საბრძოლო ხელოვნება

უმველესი ტრადიციებიდან თანამედროვე სპორტამდე



ძიუდო
(ფოტო Kishimoto-სგან)

შესავალი

იაპონიის საბრძოლო ხელოვნებათა უმეტეს ნაწილს (*ბუდო*), ფესვები ღრმა ისტორიაში აქვს გადგმული. VII საუკუნეში წარმოიშვა *იაბუსამე* (მშვილდოსნობა ამხედრებულ ცხენზე), XII საუკუნის მიწურულს, მეომართა კლასის აღზევების დროს, *ბუში* ან *სამურაი* (მეომრები) იწვრთნებოდნენ ისეთ დისციპლინებში, როგორცაა *კენჯიუცუ* (ხმლით ორთაბრძოლის ხელოვნება), *იაიჯიგუ* (ხმლით ხატვის ხელოვნება), *ჯიუჯიუცუ* (უიარაღოდ ბრძოლა), *კიუჯიუცუ* (მშვილდოსნობა), *სოჯუცუ* (შუბოსნობა), *ბაჯიუცუ* (ცხენოსნობა), *სუიჯუცუ* (ცურვა). საბრძოლო ხელოვნებათა სხვადასხვა სახეობებმა თანდათან იწყეს სკოლებად ჩამოყალიბება და ეს პროცესი გაგრძელდა ედოს პერიოდის ჩათვლით (1603-1868 წწ.).

1868 წელს ედოს პერიოდის სოციალურ კლასთა სისტემა გაუქმდა და მეიჯის აღორძინების ეპოქა დაიწყო. მეომართა კლასი, რომელიც გავლენას ახდენდა ფერმერების, ხელოსნებისა და ვაჭართა კლასებზე (*ში-ნო-კო-შიო* სისტემა), თანდათან გაუჩინარდა; თანამედროვე საბრძოლო იარაღის გავრცელების შედეგად, საბრძოლო ხელოვნების მიმდევართა რიცხვმაც იკლო. 1895 წელს, ჩინეთსა და იაპონიას შორის ომის დასრულების შემდეგ, ეროვნულმა ორგანიზაცია დაი

ნიპონ ბუდო კაიმ (დიდი იაპონიის საბრძოლო ხელოვნების ასოციაცია), მოახდინა საბრძოლო ხელოვნებების თავმოყრა და მათი შესწავლა საგანმანათლებლო სისტემაში შეიტანა, რამაც განაპირობა საბრძოლო ხელოვნებების შესწავლის ზეაღსვლა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საოკუპაციო მმართველობამ ხუთი წლით აკრძალა საბრძოლო ხელოვნება, რისი მიზეზიც იყო საბრძოლო ხელოვნების მიმდევართა პოლიტიკური ნიშნით გაერთიანება და ეროვნული სულისკვეთებით მილიტარიზმის მხარდაჭერა. ეს აკრძალვა გაუქმდა 1950 წელს და შეიცვალა საკითხის მიმართ განსხვავებული მიდგომით, საბრძოლო ხელოვნებებს განიხილავდნენ, როგორც სპორტის სახეობებს.

ძიუდო

ძიუდო, რაც "რბილ გზას" ნიშნავს, წარმოიშვა ძველი, *ჯიუჯიუცუს* საბრძოლო ხელოვნებიდან, რომელიც არ იყენებდა იარაღს. *ტენშინ შინიოსა* და *კიტოს* სკოლები თანამედროვე *კოდოკან ძიუდოს* საფუძველი გახდა, რომელიც დააარსა ჯიგორო კანომ (1860-1938); მან სპორტის ამ სახეობას თავის მიერ დაარსებული პირველი სკოლის (*დოჯიო*) საპატივსაცემოდ შეუცვალა სახელი. ჯიგორო კანომ ჩამოაყალიბა ვარჯიშთა სისტემა თანამედროვე ათლეტიზმის პრინციპების გათვალისწინებით და შეცვალა ტატამზე დაგდებისა და ორთაბრძოლის წესები.

ძიუდო-გის სამოსელი *კარატეს* ტანსაცმელს ჰგავს, რომელიც შედგება უფრო მძიმე ქსოვილით შეკერილი ზედატანისგან. ასევე, გამოიყენება *კარატეს* ტექნიკის ელემენტები: კვანტის გამოდება და მეტოქის გაკავება; *ძიუდო* კრძალავს მეტოქისათვის ფეხით ან ხელის დარტყმით ზიანის მიყენებას.

იაპონური სპორტის სახეობებიდან *ძიუდო* ყველაზე პოპულარულია საერთაშორისო არენაზე. მსოფლიო *ძიუდოს* ფედერაცია დაარსდა 1952 წელს, ხოლო ტოკიომ მსოფლიო *ძიუდოს* პირველ ჩემპიონატს უმასპინძლა 1956 წლის მაისში. 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზე სპორტის ამ სახეობას ქალთა *ძიუდოც* დაემატა. მსოფლიოში *ძიუდოს* 5 მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს.

აიკიდო

აიკიდო წარმოიშვა დაიტო *ჯიუჯიუცუს* სკოლის აიკი *ჯიუჯიუცუდან*, რომელიც დააარსა მინამოტო იოშიმიცუმ (1045-1127). ასევე, უეშიბა მორიჰის (1883-1970) დიდი წვლილი მიუძღვის *აიკიდოს* განვითარებაში.

აიკიდო ნაწილობრივ *ძიუდოს* ჰგავს იმით, რომ მოწინააღმდეგეები არ ეჭიდებიან ერთმანეთს საყელოსა და სახელოებზე, და ერთმანეთისგან მოშორებით დგანან. *აიკიდოს* ძირითადი ტექნიკაა, რომ მეტოქეს მოუძებნოს სუსტი წერტილი მაჯასა და მკლავში.

აიკიდოს მიმდევრები ერთმანეთს არ ეჯიბრებიან. მისი ტექნიკის ძირითადი საფუძველია თავდაცვა, რაც განაპირობებს *აიკიდოს* პოპულარულობას სამართალდამცავ ორგანოებსა და სუსტი სქესის წარმომადგენლებში.

კარატე



კარატე

კარატეს ექსპერტი ხელით ამსხვრევს ხის ფილებს (ფოტო ALFO-სგან)

კარატედო "შეუიარაღებელი ხელის გზას" ნიშნავს, რომელიც განვითარდა 1000 წლის უკან, ჩინეთში. რამოდენიმე საუკუნის წინ დამკვიდრდა კუნძულ ოკინავაზე (ძველად დამოუკიდებელი სამეფო) როგორც შეუიარაღებელი თავდაცვის ფორმა. მოგვიანებით, 1920-იან წლებში, იაპონიაში საბრძოლო ხელოვნების ეს სახეობა შემოიტანა ფუნაკოში გიჩინმა.

კარატეში, სხეულის თითოეული ნაწილი ბრძოლის იარაღია, ასევე მნიშვნელოვანია თავდაცვის ტექნიკა, რათა მოხერხდეს მეტოქის მიერ მოყენებული დარტყმის თავიდან აცილება.

ვარჯიშის მთავარი კომპონენტია

განმეორებითი დარტყმები ჩაღივებით დაფარულ ძელზე, *მაკივარაზე*, რაც იწვევს კიდურების კანის გამკვრივებას წვივებზე, მაჯებსა და ფეხის გულზე. წარმატებული სპორტსმენები ხშირად თავისი ძალის დემონსტრირებას დაფეხის და კრამიტის გატეხვით ცდილობენ, თუმცა ეს არ არის მიზანშეწონილი დამწყებთათვის.

სანქცირებულ შეჯიბრებებში, *კარატეს* მიმდევრები ძირითადად დამცავ საშუალებებს იყენებენ და თავს არიდებენ ტრამვებს; განსაკუთრებით ერიდებიან თავის დაზიანებას. სპარინგ-მატჩების დროს, რომელსაც *კუმიტეჯი* ეწოდება, ქულები ხელის შეხებით გროვდება. *კატა*, რიტუალური მოძრაობებით, ფორმისა და კონცენტრაციის შესაფასებლად გამოიყენება. ილეთების შესწავლისას, *კარატეს* ინსტრუქტორი ყურადღებას აქცევს მოსწავლის დამოკიდებულებასა და ქცევის კოდექსს.

ბევრი ქალი დაინტერესებულია *კარატეს* საბრძოლო ხელოვნების შესწავლით. ჩინურ და კორეულ საბრძოლო ხელოვნებასთან ერთად, რომელთანაც ბევრი საერთო აქვს *კარატეს*, ეს უკანასკნელი პოპულარულია მთელს მსოფლიოში; *კარატეს* მიმდევართა რაოდენობა არსებული მონაცემებით 50 მილიონს აჭარბებს.

კენდო

სამურაებს შორის, ფარისკაობა საბრძოლო ხელოვნების ერთერთი მნიშვნელოვანი სახეობა იყო. ტრადიციისამებრ *კენდო* (იაპონური ჯოხებით ფარისკაობა) აქცენტირებას აკეთებს *დოჯოს* ქცევის რიტუალიზაციაზე და პრაქტიკული მეცადინეობა საკმაოდ მოწესრიგებულია.



კენდო (იაპონური ფარიკაობა)
(ფოტო AFLO-სგან)

1952 წელს ჩამოყალიბდა იაპონიის კენდოს ფედერაცია. კენდოს შესწავლა დაწყებითი და საშუალო სკოლის პროგრამაში შევიდა.

"ხმალს", რომელიც კენდოში გამოიყენება, ეწოდება შინაი და შედგება 4 გრძელი ბამბუკის ძელისგან. იგი მსუბუქია და ვარჯიშის დროს სერიოზული დაზიანებებისგან იცავს მოვარჯიშეს.

კენდოს მოწაფეები ატარებენ დარტყმებისგან თავდაცვით აღჭურვილობას, კერძოდ, თავისა და თეძოებსათვის. ქულები ითვლება მეტოქის თავზე, ტანზე, მაჯასა ან ხელზე მიყენებული დარტყმების მიხედვით. გამარჯვებულია, ვინც სამი ქულიდან 2-ს პირველი დააგროვებს.

კიუდო



იაპონური მშვილდოსნობა
(ფოტო Photo Kishimoto-სგან)

კიუდო (იაპონური მშვილდოსნობა) საბრძოლო ხელოვნებად ჩამოყალიბდა იაპონიის ფეოდალიზმის პერიოდში. იაპონიის კიუდოს ფედერაცია ჩამოყალიბდა 1949 წელს, რამაც ხელი შეუწყო მისი, როგორც სპორტის მორიგი დისციპლინის განვითარებას.

შეჯიბრში თითოეული მონაწილე 28 და 60 მეტრიდან ისვრის ისრებს. მშვილდი, რომელიც დაახლოებით 2.21 მეტრია, გაკეთებულია ხისა და ბამბუკისგან. მშვილდოსნობის სხვა ფორმების მსგავსად, მოგებულია მონაწილე, რომელიც ყველაზე მეტ ისარს მოახვედრებს მიზანს. დასავლურ მშვილდოსნობასა და კიუდოს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ეს უკანასკნელი დიდ ყურადღებას აქცევს ფორმებს. ზოგიერთ შეჯიბრში მონაწილეების ფორმებს განსაკუთრებულად დიდი ყურადღება ექცევა.

ცხენით მშვილდოსნობა, იაბუსამე, კამაკურას პერიოდში (1185-1333) ჩამოყალიბდა. იგი ძირითადად ტარდება კამაკურას ცურუგაკოკა ჰაჩიმანგუს ტაძარში (მდებარეობს ტოკიოდან მატარებლით 1 საათის სავალ მანძილზე) და ასევე სხვა ადგილებში.